სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

თარიღი: 18 ოქტომბერი, 2021
სხდომის დაწყების დრო: 18:30 საათი
ადგილმდებარეობა: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ 11.

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, დათუნა მოდებაძე, დისტანციურ რეჟიმში zoom პლატფორმის გამოყენებით მონაწილე წევრი: მამუკა ნოზაძე, ირაკლი ყანდაშვილი, მარიამ კუბლაშვილი.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ყველა განმცხადებლის (სოფიო გონაშვილი, ანა ბაიაძე, თამთა შამუგია, გოჩა ჭილაია, თამარ სამუშია, თეკლე შერვაშიძე, ნინო კვინიკაძე, ლაშა დევიძე, მარიამ ჭელიძე, გვანცა ღვედაშვილი, თამარ სოკულსკი, სოფიო ორმოცაძე, დავით ნამთალაშვილი, თეონა მარაქველიძე, ირმა სეხნიაშვილი, მარიამი ყაველაშვილი,

არჩილ ჭავჭანიძე,მარიამ გოხელაშვილი, მარადი ხარაბაძე, ნინო ირემაძე, მაფონა ჭანტურია, გიორგი გრიგალაშვილი, დავით ოსეფაშვილი, ელენე ბეთანელი, სალომე სუხიტაშვილი, მარიამ ქვრივიშვილი, ანი სანიკიძე, ნათია ხარაზიშვილი, ნინო კამკამიძე, თინათინ მერკვილაძე, ნათია მაკარაძე, მარიამ კვაჭაძე, მიხეილ მელაძე, თეონა არსენაძე, თამარ შველიძე, ფიქრია ასკილაშვილი, მარინა ფიდუაშვილი, ლანა ლემონჯავა, გვანცა თაბუკაშვილი, ანანო რობაქიძე, თამუნა გეგიაძე, ანა ჯალაბაძე, დიმიტრი გრიგოლაია, თამთა კუთხაშვილი, ნინო ტყემალაძე, ნინო რურუა, ნინო ჯიღაური, თინა საბაძე, გიორგი ომიაძე, გიორგი წიქარიშვილი, მარიკა გურგენიძე, გელა პერტია, ლია გალუსტაშვილი, გიორგი ბერიძე, თეონა კოჭლამაზაშვილი, ნანა მაისურაძე, რევაზ ქარუმიძე, სოფიკო ხიდეშელი, სოფია ძოწენიძე, მარიამ გაფიშვილი, თათია ნანობაშვილი, გვანცა ასპანიძე, სალომე არბოლიშვილი, დავით ყურაშვილი, თათია ჯორბენაძე, თათია ქოქოლაძე, მარიამ გოგეშვილი, ანა ჯიქია, თათია ნარსავიძე, ნუცა ვარდანიძე, ვალერი მუმლაძე, თამარი ჯავახიშვილი, თამარი იოსელიანი, მარიამ ვარდოსანიძე, რატი გზირიშვილი, სალომე სულთანიშვილი, მარიამი ჩხიკვაძე, სალომე ბუხრიკიძე, ზურაბ ცაგარეიშვილი, მარიამ თხინვალელი, ანა არჩვაძე, ნინო სამადაშვილი, გიორგი ჩუთლაშვილი, შორენა ტალახაძე, ონისე ადამია, გიორგი შავდათუაშვილი, თეონა კილაძე, ნათია შეყილაძე, მარიამი უსენაშვილი, გვანცა ტოზაშვილი, სანდრო სუბელიანი, მარიამ ლიპარტელიანი, დავით ტეფნაძე, თორნიკე ჩიქოვანი, ანა ჩანგელია, მარიამ მხეიძე, თეონა ჩაჩუა, ჯუმბერ ღაჭავა, ნინო უშიკიშვილი, თამთა ჯინჭარაძე, შოთა სუხიაშვილი, კონსტანტინე გაბუნია, ნინო გოგიტიძე, ნინო სურმავა, თამუნა ყოლბაია, თეონა მაღრაძე, ნინო აჩელაშვილი-ხოსიტაშვილი, ირაკლი მირგატია, სალომე მეზურნიშვილი, ნათელა კოსტერს-მესტიაშვილი, მიხეილ ოშხერელი, თეონა კაპანაძე, მარიამი ოყრეშიძე, დარეჯან გიორბელიძე, დავითი ათანაშვილი, მართა ამირანაშვილი, ირაკლი ქამადაძე, მარიამ ჯანჯღავა,თეონა ჯინჭარაძე, თეონა წიქარიშვილი, ლაშა დევაძე, ლევან ბაბულაიძე, მარიამი მანძულაშვილი, მევლუდ ესართია, თამთა წირქვაძე, ცისია ოქროპირიძე, ვიქტორია გვაზავა, მარიამი ბაინდურაშვილი, სოფიკო დარჩია, თორნიკე თაბუკაშვილი, ქეთევან მურადაშვილი, ვერიკო ჯგერენაია, მეგი ჯაყელი, თამარ ბასილაია, ბადრი გორგილაძე, ილია ბუნტური, რუსუდან თოიძე, მაგდა რატიანი, ზურაბ შელია, ვლადიმერ ბუხრიკიძე, გიორგი ქირია, თეა ალავერდაშვილი, ნათია კვარაცხელია, ნია ლატარია, ქეთევანი ძინძიბაძე, მარიამ ჭელიძე, სალომე ფანგანი, თამარი გოგლიჩიძე, ნიკა გოგბერაშვილი, ნინო ღამბაშიძე, ჟანა ჭაჭუა, ელენე უთმელიძე, შორენა გაბრიჭიძე, ხათუნა თედორაძე, ვაჟა ღამბაშიძე, გიორგი ბერიძე) მოთხოვნა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) გიგა ძამუკაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო

2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, "პროფესიული ადაპტაციის პროგრამის" დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და თანდართულ დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიგა ძამუკაშვილის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.**

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ **ეთერი შენგელიას, მანონი შენგელიას და გულდიდი საღინაძის** განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად:

- **ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს მანონი შენგელიას და გულდიდი საღინაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.**
- **მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (მომხრე 6: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, გიორგი ტურაზაშვილი, დათუნა მოდებაძე, ირაკლი ყანდაშვილი, წინააღმდეგი 1- მამუკა ნოზაძე): „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ეთერი შენგელიას, განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.**

საკითხი 3. განცხადების განხილვა ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის სოციალური დაცვის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ ადვოკატ გიორგი ლაღიძის განცხადებას ასოციაციის ადვოკატის სოციალური დაცვის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გიორგი ლაღიძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის სოციალური დაცვის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს გიორგი ლაღიძის კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის სოციალური დაცვის კომიტეტის წევრად. გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 4. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად **ნანა ხოშტარიას** და **სალომე მირზაშვილის** განცხადებების წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნანა ხოშტარიას და სალომე მირზაშვილის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი
თავმჯდომარე